თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 19.02.2020 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - **დავით გოგოშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - **ალექსანდრე შათირიშვილი;** სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - **ნანა ხვისტანი;** ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილე - **გიგა მამუკელაშვილი;** საკრებულოს წევრები: **ზურაბი ლილუაშვილი; აბრამ მახარიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **გიორგი თავბერიძე.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2019 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის N42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის მოტივი მდგომარეობს 2020 წლის 01 იანვრისთვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში. რომლიც მიიმართება ქ. თელავში განთავსებული სათვალთვალო კამარების და ქსლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად (18,0 ათ. ლარი), სოფ. წინანდალში ძიუდოს სკოლის მოსაწყობად შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად (5,0 ათ. ლარი), სსიპ ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის (8,0 ათ. ლარი) და ჟურნალ „ოლე“ს დასაფინანსებლად (7,0 ათ. ლარი). ასევე, სოციალურ პროგრამებში ახალი ქვეპროგრამების დაფინანსებისთვის თანხის მობილიზებას (1,65 ათ. ლარი). თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 38 566,35 ათ. ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. მათ მხარი არ დაუჭირეს ცვლილებას ჟურნალ „ოლეს“-ს დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან მიმდინარე 2020 წლის ბიუჯეტით მათი დაფინანსება 20,0 ათ. ლარს შეადგენს.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ პროექტი, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს: 2</u>. თელავის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2019 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **გიორგი თავბერიძეს.**

ა. შათირიშვილმა. გ. მამუკელაშვილმა, ნ. ხვისტანმა - მოითხოვეს წლიურ ანგარიშში აუცილებლად იყოს აღნიშნული - ჩაშლილი და არშემდგარი ტენდერების რაოდენობა და მიზეზები.

<u>გადაწყვიტეს:</u> წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული. კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ წარმოდგენილი ანგარიში, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი